ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №916975

ნომერი: AR1159931

თარიღი : 06.09.2013

გაცემის თარიღი : 27.09.2013

გაცნობის თარიღი : 28.09.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ნადირაშვილი პ/ნ 01024035369
- ბახტრიონის ქ.#13

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" კოდი: 205243823

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 27 სექტემბრის #არ1159931 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 05.09.2013წ. №884902 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ბლოკებად დაყოფას, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ცალცალკე ჩამოყალიბებას და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის ცალცალკე განსაზღვრას ბლოკების მიხედვით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013წ. №884902 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის, ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,საბურთალო-2006''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ვინაიდან აღნიშნული კორექტირება შეეხო მთლიან მშენებარე ობიექტს და ამასთან, ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო ერთიანად, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცმეულ ბრძანებაში, იმისათვის რომ მოხდეს საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების ასახვა, კერძოდ: ცალცალკე ჩმოაყალიბდეს როგორც, ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ბლოკების მიხედვით, ასევე მასზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა საჭიროა მოხდეს პროექტის კორექტირება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფა შესაძლებელია თუ საპროექტო შენობებს გააჩნიათ ორი დამოუკიდებელი საძირკველი და არ აქვს კონსტრუქციული ბმა. ხოლო, იმისათვის რომ მოხდეს ობიექტის დაყოფა ბლოკებად, მათი ტექნიკური–ეკონომიკური მაჩვენებლების ცალცალკე ჩამოყალიბება და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის დამოუკიდებლად განსაზღვრა საჭიროა მოხდეს თითოეულ ბლოკზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ცალცალკე შეთანხმება და შესაბამის მშენებლობსი ნებართვის აღება.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge